



CHAP

ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა

თებერვალი 2002 (№2)



The **Community & Humanitarian Assistance Program** is funded by the US Department of State (<http://www.state.gov>)

"Counterpart always has been and we hope always will be preoccupied with its mission of building a just world through service and partnership - helping people to help themselves".

Elizabeth B. Silverstein
President
Counterpart International

მიღწევები

2002 წლის თებერვალში CHAP/კავკასიამ განაგრძო ჰუმანიტარული მისიის წარმატებით განხორციელება და სამედიცინო აღჭურვილობის და სახარჯი მასალის, ახალი და მეორადი ტანსაცმელის, საყოფაცხოვრებო და სავეღე აღჭურვილობის, ავეჯის, საკეები პროდუქტისა და სხვა დასახელების ტვირთების ჩამოტანა კავკასიის ქვეყნებში მოსახლეობის გაჭირვებული ფენების დასახმარებლად.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შესაბამისად დაახლოებით 46, 35 და 52 სკოლა-ინტერნატი, ბავშვთა სახლი და სპეციალური სკოლაა. ზრუნავენ როგორც ობოლ ბავშვებზე, ასევე ბავშვებზე რომლებიც დაბადებულნი არიან უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში, იძულებით ადგილნაცვალ პირთა შვილებზე, უპატრონო და გონებრივად ჩამორჩენილ და ინვალიდ ბავშვებზე. „ქაუნთერფართ ინტერნეშენელის“ ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შეავსოს არსებული ვაკუუმი და უზრუნველყოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველო

2002 წლის 18 იანვარს "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-მა გადასცა 40,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს, რომელიც ემსახურება 160 ობოლ და ინვალიდ ბავშვს. ჰუმანიტარული ტვირთი შეიცავდა საწოლის თბილ გადასაფარებლებს, პირსაბანს წყლის გამაცხელებლით, სხვადასხვა ტურჭელს, სკამებს, სამედიცინო საწოლებს, სავარჯიშო მაგიდებს, საკაცეს, ფიზიო-თერაპიის მაგიდებს, საძილე ტომრებს, მაგიდებს, ოთახის გამათბობლებს, ტანსაცმლის ჩემოდნებს, პატარა მაგიდებს, სამეურნეო დანიშნულების მაგიდებს, პიანინოსა და დასაკეც სკამებს. პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით. CHAP-ი დიდ მადლობას უხდის სამინისტროს მხარდაჭერისთვის.



საინფორმაციო ბიულეტენი

CHAP-ის რეგიონულმა დირექტორმა კავკასიაში ბატონმა მაირონ ჰირნიაკმა განაცხადა, რომ გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატისთვის ამ ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემა საქართველოს სკოლა-ინტერნატების, ობოლთა სახლებისა და სპეციალური სკოლების მოთხოვნისათვის გათვალისწინებით მათთვის სისტემატური დახმარების გაწევის დასაწყისი გახდება.



2002 წლის 5 თებერვალს, სოციალურად გაჭირვებულ და ობოლ ბავშვთა დახმარების პროცესის გაგრძელების ფარგლებში, "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-მა გადასცა 15,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი სურამის ობოლ ბავშვთა სახლს, რომელიც ემსახურება 120 ობოლ ბავშვს. ჰუმანიტარული ტვირთი შეიცავდა საწოლის თბილ გადასაფარებლებს, ზამთრის პერანგებს, შარვლებს, ბუფეტებს, ტუმბოებს, სკამებს, სამეურნეო დანიშნულების მაგიდებს, გარდერობებს, სამზარეულოს ჭურჭლის კარადებს და საოფისე კომპლექტებს. პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებასთან თანამშრომლობით.

2002 წლის 11 თებერვალს "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა CHAP-მა გადასცა 160,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი გორის ქალაქისა და რაიონულ საავადმყოფოებს და გორის საქველმოქმედო ფონდს, რომელიც უზრუნველყოფს 1,000-ზე მეტი გაჭირვებული პენსიონერის, უსახლკარო ბავშვის, მრავალშვილიანი ოჯახისა და სხვა გაჭირვებული მოსახლეობის ყოველდღიურ კვებას. ტვირთის შემადგენლობაშია: სასუნთქი აპარატები, ყავარჯნები, დასაკეცი საკაცები, სამედიცინო კარადები, სტერილიზაციის ქსოვილი, კათეტერები და შემაერთებლები, საკაცის მატრასები, ბინტი, ინჰალაციური თერაპიის ფილტვების სავარჯიშო, საოპერაციო მაგიდები, ბუფეტები, სასადილო ოთახის სკამები, საოფისე ტუმბოები, სამზარეულოს კარადები, ლანგრები, სამეურნეო დანიშნულების მაგიდები, მისადგმელი მაგიდები, სამედიცინო მაგიდები უჯრებით და ტანსაცმლის კარადები. პროექტი განხორციელდა გორის რაიონულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.



CHAP-ი საქართველოში მის მიერ შემოტანილ სამედიცინო აღჭურვილობისა და სახარჯი მასალის განაწილებას ათანხმებს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საავადმყოფოების რეორგანიზაციის ეროვნულ გეგმასთან. "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა არის წამყვანი ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ზემოთხსენებული გეგმის მიხედვით მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

2002 წლის 22 თებერვალს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში, ფილიპ რემდერმა ოფიციალურად გადასცა ექვსი ტრაქტორი და სხვა ჰუმანიტარული დახმარება საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს შემოწირულობა არის ნაწილი საქართველოსთვის ამერიკის სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარე ჰუმანიტარული დახმარების პროგრამისა. შემოწირულობა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ თავისუფლების მხარდაჭერის აქტის ფარგლებში და მის განაწილებას ახორციელებს ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია “ქაუნთერფართ ინტერნეშენელი”.



თითოეულმა ჩამოთვლილმა ქართულმა ორგანიზაციამ მიიღო თითო ტრაქტორი: “სასოფლო-სამეურნეო პროგრესის ცენტრი”, ოზურგეთი, გურიის რაიონი; სოფელ ნოქალაქევის თემის სოციალური განვითარებისა და აღორძინების კავშირი “ჯიხა”, სამეგრელოს რაიონი; ზესტაფონის ჰუმანიტარული დახმარების კავშირი “მაგნოლია”, იმერეთის რაიონი; საქველმოქმედო ორგანიზაცია “რეგი”, საგარეჯო, კახეთის რაიონი; საქართველოს საქველმოქმედო ფონდი “იბერია-XXI”, თბილისი; სენაკის სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების კავშირი, სამეგრელოს რაიონი; ჩამოთვლილ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ მეურნეობები, სადაც წარმოებული კვების პროდუქტებით ეხმარებიან სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას.



აზერბაიჯანი

2002 წლის თებერვლის დასაწყისში, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელთა თხოვნის შესაბამისად ბავშვებისათვის საკვების დეფიციტის შესახებ, "ქაუნთერფართ ინტერნეშენელი" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამამ აზერბაიჯანში ჩაიტანა 39,000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ღირებულების ქათმის მინარევიანი ბრინჯის საკვები. CHAP/აზერბაიჯანმა გაანაწილა ჰუმანიტარული საკვები შემდეგ 20 სკოლა-ინტერნატსა და ბავშვთა სახლზე, რომლებიც 2,503 ბავშვს ემსახურება:

- მშტაგას ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა საბავშვო ბაღი №9, "ლალა"
- განჯიკის გონებრივად ჩამორჩენილ ობოლ ბავშვთა სახლი
- შუგლანის №5 ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმი
- ზაბრატის №37 კარდიო-რევმატოლოგიური ბავშვთა სანატორიუმი
- მარდაკანის №3 გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
- ვაჟთა №5 სპეციალური სკოლა
- სურახანის რაიონის №7 სპეციალური სკოლა-ინტერნატი
- მშტაგას №21 ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმი
- მარდაკანის №2 ბავშვთა სახლი
- IV მიკრორაიონის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
- ოსმან მირზოევის სახელობის გოგონათა სახლი №1 ლანკარანში
- შეის №1 ბავშვთა სახლი
- შეის №2 ბავშვთა სახლი
- სალიანის, საფაროვის სახელობის №10 ბავშვთა სახლი
- რამანის №41 ბავშვთა ფსიქონევროლოგიური სანატორიუმი
- იასამდლის №17 საბავშვო ბაღი ყრუ და მეტყველება დაქვეითებული ბავშვებისათვის
- ბუზონგას №13 ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სახლი
- ზეგულბას №1 რესპუბლიკური სანატორიუმი ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებისათვის
- ბუზონგას №1 რესპუბლიკური კარდიოლოგიური სანატორიუმი ბავშვებისათვის
- ბავშვთა საერთაშორისო ფონდის აზიზების განყოფილება



საკვების განაწილების დაწყებასთან დაკავშირებით, 2002 წლის 12 თებერვალს CHAP/აზერბაიჯანმა პრეს-კონფერენცია მოაწყო ბუზოვნას №13 ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვთა სახლში. სტუმართა შორის იყვნენ აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, სოციალურად დაუცველი ბავშვთა ორგანიზაციებისა და აზერბაიჯანში ა.შ.შ.-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები. სახელმწიფო მოხელეებმა და დახმარების მიმღები ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თბილი სიტყვები წარმოთქვეს "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის მისამართით. მათ აღნიშნეს რომ სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვები და ბანაკებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები ძალიან კარგად იცნობენ CHAP-ს, რადგან ის ერთადერთი ჰუმანიტარული პროგრამაა რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში რეგულარულად უწევს დახმარებას აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალურად გაჭირვებულ ფენებს.



სომხეთი

1980 წლიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა სომხეთის რესპუბლიკა მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემის წინაშე დააყენა. საერთაშორისო საზოგადოებისაგან მიღებული მასიური ჰუმანიტარული დახმარების მიუხედავად, იმ ტრაგიკული მოვლენების შედეგები დღესაც ნათლად ჩანს. 1996 წელს სტატისტიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებული გამოკითხვის მიხედვით ღარიბი მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 55%-ს, ხოლო უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა კი მთელი მოსახლეობის 28%-ს შეადგენდა. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები, გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები, ობლები და ინვალიდები - ეს არის იმ ადამიანთა კატეგორიები, ვინც პერმანენტულად იბრძვის გადარჩენისათვის.

ბუნებრივია, რომ საერთო სიტუაცია მნიშვნელოვნად მოქმედებს სოციალურად დაუცველ ბავშვებზე, რომლებიც სკოლა-ინტერნატებში, სპეციალურ სკოლებსა და ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ. ამ დაწესებულებათა უმრავლესობა სასკოლო ინვენტარის, ავეჯის, ტანსაცმლისა და საკვების მწვავე დეფიციტს განიცდის. ხემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, 2001 წლის ბოლოს მუშაობის დაწყებიდან CHAP-ის სომხეთის ოფისისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2002 წლის თებერვლის დასაწყისში სოციალურად დაუცველ ბავშვთა ორგანიზაციებზე გაწეული პირველი დახმარება.

ერევნის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატმა, ერევნის ბავშვთა სახლმა, ერევნის №22 პროფესიულ-ტექნიკურმა ჯგუფ-ინტერნატმა, გიუმრის №5 სკოლა-ინტერნატმა, ერევნის ინტერნატ-კომპლექსმა "ოლიმპუსმა" და სპიტაკის ბავშვთა სახლმა მიიღო 135,000 ა.შ.შ. დოლარის ღირებულების დახმარება, დაფების, მერხების, სკამების, ფიზიკური ვარჯიშის აღჭურვილობის, ხის კარადების, წიგნის თაროების, ჟურნალის მაგიდების და კომპიუტერის მაგიდების სახით.

ბ ე ბ მ ე ბ ი

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პროექტებთან ერთად CHAP-ი დაიწყო რამოდენიმე ახალი პროექტის განხორციელებას, ესენია: საჩხერის №2 სკოლის დახმარების პროექტი, საქართველოში ლტოლვილთა სტრატეგიული პოლიკლინიკების დახმარების პროექტი, აზერბაიჯანის ბარდის რაიონში მცხოვრებ ლტოლვილთა მხარდაჭერის პროექტი, აზერბაიჯანში ინვალიდთა და გაჭირვებულთა დახმარების ინიციატივა და სომხეთის სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკოლების დახმარების პროექტი.

საქართველო

საჩხერის №2 სკოლის დახმარების პროექტი

სხვადასხვა საერთაშორისო დონორის მხარდაჭერით, ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული საჩხერის №2 სკოლის შენობა გარემონტებული იქნა. საჭირო სასკოლო ინვენტარის და აღჭურვილობის პრობლემა მაინც არსებობს. 2001 წელს სკოლის ადმინისტრაციამ და USAID-ის ოფისმა თბილისში თხოვნით მიმართა CHAP-ს რათა აღმოეჩინა დახმარება სკოლისათვის სასკოლო აღჭურვილობით და ავეჯით 17 საკლასო ოთახსა და 450 მოსწავლეზე.

2002 წლის მეორე კვარტლიდან სკოლა მიიღებს სასკოლო ავეჯს (მერხებს, დაფებს, მაგიდებს, სკამებს, დივნებს, სავარძლებს, და სხვა), სხვადასხვა აღჭურვილობას (კომპიუტერებს, ქსეროქსის აპარატებს, ტელევიზორს, რადიოსა და ტელეფონის აპარატებს), ლაბორატორიის აღჭურვილობას, სპორტულ ინვენტარს, სამედიცინო აღჭურვილობას და მოწყობილობას.

საქართველოში ლტოლვილთა სტრატეგიული პოლიკლინიკების დახმარების პროექტი

ბოლო 10 წელია, რაც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები დგანან მრავალი სოციალური პრობლემის წინაშე. ნორმალური საკვების და საცხოვრებელი პირობების მუდმივმა არქონამ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, და სამედიცინო მომსახურების უქონლობამ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საფუძვლიანად შეარყია. დევნილმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ ყველა ღონეს მიმართა და დააარსა 13 პოლიკლინიკა, რომლებიც მოემსახურებიან იძულებით გადაადგილებულ პირებს. ეს პოლიკლინიკები ემსახურებიან სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. CHAP/საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საერთაშორისო ჰუმანიტარული პროგრამა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს პოლიკლინიკების მოთხოვნები. მაგალითად, ქუთაისისა და წყალტუბოს ლტოლვილთა პოლიკლინიკები დღემდე ფუნქციონირებენ CHAP/საქართველოს მიერ მათთვის განაწილებული სამედიცინო აღჭურვილობის წყალობით.

CHAP/საქართველო ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს ყველა 13 პოლიკლინიკას თბილისის, სამეგრელოს, აჭარისა და იმერეთის რეგიონებში სამედიცინო აღჭურვილობისა და მოწყობილობების, სპეციალური სამედიცინო აპარატურის, წამლების, სამედიცინო მოხმარების საგნების, სამედიცინო ავეჯის, ლაბორატორიული აღჭურვილობის, საოფისე ავეჯის და ნივთების, სამედიცინო ლიტერატურის, ელექტროგენერატორების, ოთახის გამათბობლების, მანქანების და სხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთების სახით.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ბარდის რაიონში მცხოვრებ ლტოლვილთა მხარდაჭერის პროექტი

ამჟამად, აზერბაიჯანის მოსახლეობის 20% იძულებით გადაადგილებულია საცხოვრებელი ადგილიდან, ნაწილობრივ მთიანი ყარაბახის კონფლიქტის გამო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. იძულებით გადაადგილებული პირები ამჟამად ცხოვრობენ აზერბაიჯანის 71 რეგიონში, მათ შორის ბარდაშიც. მხოლოდ ბარდას რაიონში ამჟამად ცხოვრობს ლტოლვილთა 13,144 ოჯახი (52,738 ადამიანი).

CHAP-ი დაეხმარება იძულებით გადაადგილებულ პირებს ბარდას I და II კარვის დასახლებებში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში და მეშალის დასახლებაში, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საკვებით, სასკოლო ავეჯით, სასკოლო ინვენტარით, თეთრეულით, თბილი გადასაფარებლებით, გამათბობელი სისტემებით, ავტომობილებითა და ელექტრო გენერატორებით.

აზერბაიჯანში ინვალიდთა და გაჭირვებულთა დახმარების ინიციატივა

აზერბაიჯანში ამჟამად 230,000 რეგისტრირებული ინვალიდია, აქედან 22,508 პირველი ჯგუფის ინვალიდი, 20,000 მარჩენალდაკარგული და 1,454,000 გაჭირვებული ოჯახი. ამ ჯგუფის წარმომადგენლები არიან უსინათლოები, ფიზიკური ნაკლის მქონე, დაუნის სინდრომიანი, ცერებრალური დამბლის მქონე და გონებადაქვეითებული პირები. ეს სტატისტიკა ასევე შეიცავს ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ ინვალიდებს.

აზერბაიჯანში მუშაობის დაწყებიდან CHAP-ი პრიორიტეტს აძლევს ინვალიდებისათვის დახმარების გაწევას. 6 სპეციალურად ამორჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის საშუალებით CHAP/აზერბაიჯანი დახმარების სახით გადასცემს ტანსაცმელს, თეთრეულს, საკვებს, სამზარეულო აღჭურვილობას, ავეჯს, გამათბობლებს და ფეხსაცმელს იასამალის, სურახანის, ხატაის, ნარიმანოვისა და ბინაქადის რეგიონებში მცხოვრებ ინვალიდებს და გაჭირვებულ ოჯახებს.

სომხეთი

სომხეთის სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკოლების დახმარების პროექტი

სომხეთის 52 სპეციალური სკოლა და სკოლა-ინტერნატი მიიღებს დახმარებას 2002 წლის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობისა და ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მრავალმიმართულებიანი პროგრამა. დახმარების საგნებს შორის იქნება სასკოლო მერხები და სკამები, დაფები, თაროები, სასწავლო ინვენტარი, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სამზარეულო და სპორტული აღჭურვილობა, მატრასები და თეთრეული, წამლები, სამედიცინო და ჰიგიენური სახარჯი მასალა. პროექტი განხორციელდება სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და შესაბამის რეგიონალურ მმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობით

პარტნიორთა მიერ გამოთქმული აზრები

საქართველო

საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია -

"საქართველოს განათლების სამინისტრო დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ ჰუმანიტარული დახმარებისათვის, რომელიც "ქაუნთერფართმა" აღმოუჩინა გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს 2002 წლის 18 იანვარს და სურამის ბავშვთა სახლს 2002 წლის 5 თებერვალს.

იმედი გვაქვს, რომ "ქაუნთერფართი" თქვენი და თქვენი თანამშრომლების მცდელობით მომავალშიც აღმოუჩენს დახმარებას ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს და სპეციალურ გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს".

გორის რაიონის გამგებელი შ. კოშაძე -

"ნება მიბოძეთ მოგესალმეთ და გამოეხატო მადლიერების გრძნობა იმ დიდი დახმარებისა და ჰუმანურობისათვის, რომელსაც წლების მანძილზე თქვენი საქველმოქმედო ორგანიზაცია იჩენს გორის რაიონის მიმართ. მიმაჩნია, რომ ეს არის თქვენი მაღალკეთილშობილების, ამერიკელი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლური გამოხატულება.

ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის გზაზე საშინელი ქარტეხილი გაიარა. მიუხედავად მეგობარი ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დიდი დახმარებისა და თანადგომის, ქართველი მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ დადგა ეკონომიური აღმავლობის გზაზე.

საქართველოს და მათ შორის გორის რეგიონის მოსახლეობას ძალზე უჭირს. გორის რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული 5,300 მოქალაქე, 1,172 მრავალშვილიანი ოჯახი, 1,682 ინვალიდი, 351 მარტოხელა დედა, 1,821 ობოლი, 25,000 პენსიონერი და მათ შორის 600 მარტოხელა მოსუცი კვლავ თქვენგან ელის დახმარებას.

გორის რაიონის გამგებობა მიესალმება თქვენი პროგრამის გაგრძელებას ჩვენს ქალაქში. იმედია, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ხალხის მფარველი!"

სურამის ბავშვთა სახლის დირექტორი მ. გოგალაძე -

"ჩვენმა ბავშვთა სახლმა მიიღო თქვენი პროგრამით გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარება. სურამის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღსაზრდელების სახელით დიდ მადლობას გიხდით ჩვენს აღსაზრდელებზე ესოდენ დიდი ზრუნვისათვის".

აზერბაიჯანი

შემისტან რზაევი და მისი მასწავლებელი ამინა მურადოვა ბარდის რაიონის იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატიდან-

"ჩემი სახელია შემისტანი. მე ვჭამე ჰუმანიტარული საჭმელი და მინდა მადლობა გადავუხადო დონორს.

მე გახლავართ მასწავლებელი და მინდა გავიზიარო შემისტანის თბილი სიტყვები. მინდა ყველა ბავშვის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო საკვები პროდუქტის მომწოდებელ დონორს. ეს დახმარება ძალიან კარგია და ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ჩემი სახელია შემისტანი.
დიდი მადლობა".

№9 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი გ. სადიხოვა -

"№9 საბავშვო ბაღის პერსონალის სახელით დიდ მადლობას გიხდით ავადმყოფი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან მოსული ბავშვებისადმი გაწეული მშვენიერი დახმარებისათვის. თქვენგან მიღებული ჰუმანიტარული საკვები პროდუქტი ბავშვების ჯანმრთელებად ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს.

გვჯერა რომ მომავალშიც არ დაგვივიწყებთ.
წინასწარ გიხდით მადლობას მომავალში გაწეული დახმარებისათვის".

№5 ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმის ხელმძღვანელი მ. მამადოვა -

"დიდი მადლობა იმ დახმარებისათვის რომელსაც თქვენ უწევთ ჩვენს ბავშვებს იმ დროს, როდესაც მათ განსაკუთრებით ესაჭიროებათ საჭმელი და ჩვენ კი არ გაგვანჩნია საშუალება იმისა რომ სათანადო კვებით უზრუნველვყოთ ისინი.

გვინდა იმედი გამოვთქვათ რომ დახმარება მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ეს ბავშვები მიიმე ავადმყოფები არიან. მათი უმრავლესობა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან არის.
დიდი მადლობა თქვენ ჰუმანიზმისათვის და გისურვებთ წარმატებას ჰუმანიტარულ საქმიანობაში".

№17 საბავშვო ბაღი ყრუ და მეტყველება დაქვეითებული ბავშვებისათვის, ხელმძღვანელი ფ. ისლამოვა -

"№17 საბავშვო ბაღის კოლექტივის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო დონორს "Feed My Starving Children" ბავშვებისათვის გამოგზავნილი საკვები პროდუქტისათვის და "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას ამ დახმარების ჩვენთვის განაწილებისათვის. ბავშვები დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ამ საჭმელს.
ღრმად ვართ დარწმუნებული რომ მომავალშიც არ დაგვივიწყებთ და გაგვიწვეთ დახმარებას".

სომხეთი

ერევნის №22 პროფესიულ-ტექნიკური ჯგუფ-ინტერნატის დირექტორი ლ. შოლოიანი -

"პედაგოგიური კოლექტივის სახელით მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას სომხეთში სოციალურად დაუცველი ბავშვებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის. ისინი წარმოადგენენ მშობლის სიტბოს მოკლებულ ბავშვებს და ასეთი ყურადღება მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ. ჩვენი დაწესებულება 140 ასეთ ბავშვს ემსახურება".

ერევნის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი აშოტ ავეტისიანი -

"ერევნის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობის სახელით მინდა "ქაუნთერფართ ინტერნეშენელის" ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის სომხეთის წარმომადგენლობას დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი სკოლისათვის საჭირო ავეჯის გადმოცემისათვის.
ჩვენი ბავშვების გულახდილი, თბილისი ღიმილი ამ დახმარებისათვის მადლიერების ყველაზე დიდი გამოხატულებაა".

306 პართ ჩვენ

**CHAP/კავკასიის სათაო ოფისი
თბილისი, საქართველო**



მაირონ ვ. პირნიაკი
რეგიონალური დირექტორი კავკასიაში



დავით სულაბერიძე
კავკასიაში რეგიონალური დირექტორის
მოადგილე



გიორგი რუსაძე
საზოგადოებასთან
ერთიერთობის
დირექტორი



მარინა თხელიძე
ფინანსური მენეჯერი



დიმიტრი ვორონინი
ინფორმაციული
სისტემების მენეჯერი

**CHAP/საქართველოს ოფისი
თბილისი, საქართველო**



გურამ გურაშვილი
პროექტის დირექტორი



ნიკოლოზ გაბაშვილი
პროექტის დირექტორი



რომან ბეგაშვილი
საწყობის გამგე



კახა სამხარაძე
მძღოლი



გიორგი სალუქვაძე
ლოჯისტიკის მენეჯერი



ირაკლი ტორუა
მიმღები



მარინა ბილანიშვილი
ადმინისტრაციული ასისტენტი



ნინო ჯავახიშვილი
მონაცემთა ბაზის ოპერატორი

CHAP/აზერბაიჯანის ოფისი
ბაქო აზერბაიჯანი



ილაჰა ასმედოვა
აზერბაიჯანის ოფისის დირექტორი



ზია ჯაფაროვი
პროგრამის
კონსულტანტი



კუბრა კერიმოვა
საინფორმაციო
ბაზის მენეჯერი



აბას ბაბაევი
პროექტის
დირექტორი



მირკაშიმ აბდულაევი
საწყობის გამგე



ჰიკმეტ სადიხოვი
მძღოლი

CHAP/სომხეთის ოფისი
ერევანი, სომხეთი
(სურათები შემდეგი თვის ბიულეტენში)



დავიდ ასატრიანი
სომხეთის ოფისის დირექტორი



ლიანა ხაჩატრიანი
ადმინისტრაციული ასისტენტი



პაველე უზუნოვი
საწყობის გამგე



გეგორქ არაქელიანი
მძღოლი